სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 20 № 151
წელიწადი მეორე

სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 20 № 151
ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათის შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76

ალექსანდრე დავითისძე თორაძე, მატრონა მოსეს ასული ცქიტიშვილი, სერგო მანუჩარისძე ჩიქოვანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ პირველი მეუღლის და მეორენი საყვარელი შვილის

## მარუსია თორაძის

გარდაცვალებას სოფ. ცემში. გამოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე ფურცლებზე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა კომიტეტი, ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის წევრის სტუდენტის

## გაბო ოთხმეზურის

ტუაპსის ფრონტზე ბოლშევიკებთან გმირულად დაღუპვას.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განცხადება.

დამატებათ 25 ივლისის განცხადებისა, სპილენძის აღრიცხვის შესახებ, ცხადდება ყველა საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთ საყურადღებოთ, რომელთაც მოეპოვებათ საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი მასალები:

**შავი ლითონები:**

| | | |
|---|---|---|
| თუჯი ნაჭრობრივი — — — | 100 | ფუთზე მეტი |
| რელსი ყველა ზომისა — — — — | 100 | — — |
| რკინის კოჭები სიმაღლით არა ნაკლებ 10 სანტიმ | 100 | — — |
| რკინა ხარისხოვანი, ფურცლებათ და სახურავი | 50 | — — |
| სარესორო ფოლადი — — — — | 10 | — — |
| ლურსმანი ყველა ზომისა — — — | 50 | — — |

**წითელი და თეთრი ლითონები.**

| | | |
|---|---|---|
| თეთმერი — — — — — | 10 | ფუთზე მეტი |
| ბრეენი (ტყვია) — — — — | 10 | — — |
| კალა — — — — — — | 5 | — |
| თუთი — — — — — — | 10 | |

და კიდევ

| | | |
|---|---|---|
| კაუსტიური სოდა — — — — | 25 | ფუთზე მეტი |
| ცემენტი — — — — — | 100 | — — |
| გოგირდის სიმჟავე (თეზაფი) — — — | 10 | — — |

რომ მათ წარმოადგინონ ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში (ჭავჭავაძის ქუჩა 2) ცნობები შესახებ ზემო აღნიშნულ საქონელთა რაოდენობისა და საწყობის მდებარეობისა მათი პატრონთა გვარის აღნიშვნით.

თუ ვისმეს ორი კვირის გასვლის შემდეგ აღმოაჩნდება სადმე რომელიმე ზემოაღნიშნული მასალა, რომელიც არ იყო წარმოდგენილი აღრიცხვისათვის, მასალა სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმეული იქნება, შეფასების ღირებულების ნახევარ ფასში, მათი პატრონნი კი სამართალში იქნებიან მიცემული 29 მუხლის სას. წეს. ძალით.

კბილის ექიმები
**მ. ი. ახვლედიანი** და
**ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..
მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ექიმი
**ზ. ა. ეზიკაშვილი**

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). ს.

## ქუთაისი 20 აგვისტო.

**ქართული** დღიდგან რუსეთის აჯან-**სოციალიზმი**. ყეზის დაწყებისა საქართველო ინგრევა და იღუპება.

ქართველ ერს ეკარგება რწმენა, ადამიანის სიყვარული, პატივისცემა. საქართველო ირყვნება და სადღაც უფსკრულისაკენ ანარქიის ფრთებით მიექანება.

მთავრობის უაზრობით საქართველოს ჩამოეჭრა საუკეთესო ნაწილი: სოციალიზმის თვალთა ხედვით საქართველო ფიზიკურად დამახინჯა.

დარჩა საქართველო ორ გუბერნიიდან შემდგარი და ამ პატარა მიწა წყალზე კიდევ გრძელდება საშინელი დიქტატორობა სოციალისტების.

თითქო არ ეყო საქართველოს ისტორიული წამება. თითქო საქართველო არ იყოს აფერადებული ტანჯვით, წვალებით და სისხლით.

ქართველ ერს ეწამლება სიცოცხლე: ზნეობრივად ეცემა მრავალჯერ წამებული საქართველო, დღეს ხალხს აღარ ჯერა არც ერთი დაპირება რევოლუციის და თავისუფლების.

დღეს ხალხი სასოწარკვეთილებას განიცდის, დღეს იგი ხედავს ნათლად თუ რა საშინელია სოციალიზმის „ოპერაციები.“ დღეს საქართველოს კარგად ესმის სოციალისტების „ერთობის“ და „თანასწორობის“ მნიშვნელობა, სოციალიზმის სამართლიანობა“.

„ერთობა“ თურმე იმიტომ ყოფილა საჭირო რომ მამასახლისის მაგიერ კომისარი იყო რომელსაც თვეში სამასი მანეთი უნდა ქონდეს ჯამაგირი.

„თანასწორობა“ და „სამართლიანობა“ ის ყოფილა, რომ ბლაგვი და უნიჭო მინისტრი იყოს, და ნიჭიერი და პატიოსანი შიმშილით კვდებოდეს.

რევოლუცია თურმე იმიტომ მომხდარა, რომ ერთმა სახლები და ძვირფასი ავეჯეულობა იყიდოს, მეორემ საკუთარი ტანისამოსი და ავეჯეულობა გაყიდოს, რომ ცოლშვილს პური აჭამოს.

საქართველოს თავისუფლება სახაზინო ავტომობილების და სამინისტრო სავარძლების სოციალიზაცია ყოფილა.

დემოკრატობა ის კი არ ყოფილა, რასაც ევროპაში ეძახიან დემოკრატობას, დემოკრატობა ყოფილა გაბატონებული პარტიის სახელმწიფო ავტომობილებით სეირნობა და მშრომელი ხალხის შიმშილი და გაჭირვება.

ჩვენებური სოციალისტები პირდებიან ბედნიერებას, არა ერთი წელიწადია საქართველო იკვებება სოციალიზმით.

— და აი რა ყოფილა ქართული სოციალიზმი.

## ბოლშევიზმი.

რა ჰქვია ბოლშევიზმს? რა იდეალი აქვს? რას გვასწავლის? ამის შესახებ რამეს თქმა შეუძლებელია. ხოლო რას წარმოადგენს იგი ცხოვრებაში? როგორ განსახიერდა? ან როგორ გადაგვარდა? ამ კითხვაზე კი შემიძლია პასუხი გაგო.

ამ ერთი თვის წინეთ ტფილისს მიმავალი ჩემდა უნებურად ჩავერიე მგზავრების დაუსრულებელ კამათში.

აღსანიშნავია უპირველესად, რომ მესამე კლასის მგზავრებს უფრო უყვარსთ, ვიდრე პირველისა და მეორე კლასის მგზავრებს, პოლიტიკის გარშემო საუბარი.

თვითეული მესაუბრე უმთავრესად ამას ჩიოდა- მე რომ პოზიციაზე ვიყავი, ჩემს მეზობელს ფული უშოვნიაო. ეს შეიძლება ითქვას, საყოველთაო, სახალხო საჩივარი და გოდება.

ერთს თვრამეტი წლის ბიჭს, რომელიც ამასვე ჩიოდა, ვკითხე, პოზიციაზე ხომ არ ყოფილხარ-თქო?—არაო, მომიგო, მაგრამ არ წავალ, ვინაიდან მდიდრები არ წასულანო.

ყველა ავად ახსენებდა თავადებსა და ბურჟუაძეებს. მამულები უნდა ჩამოვართვათ და მივითვისოთო, ომში ბურჟუაძეები უნდა გავრეკოთ; აქამდის ჩვენ გვშიოდა, ამას იქით, დეე იმათაც გამოსცადონ შიმშილი. სამშობლო, მამული რისთვის მინდა, მშიერი თუ ვიქნებიო და სხვა.

თვითეულს მათგანს თავადებისა და ბურჟუაძეებისადმი ძულება გულში აღარ ეტეოდა, გულიდან ამოხეთქოდა!

და არავის არა ჰქონდა შეგნება სამშობლოს, ეროვნული იდეის, სამშობლოსადმი მოვალეობის, სახელმწიფოებრივი ამშენებლობის.

ჩემი მეზობელი ჩემზე უფრო მდიდარი რატომ არისო! რატომ ქონებრივი თანასწორობა არა სუფევსო! ეს სულისკვეთება ალაპარაკებდა ყველას.

შეძლებულ მეზობელს უნდა წავართვა, შეძლებული მეზობელი—მტერია, მასთან ბრძოლით—გული უნდა ვიჯერო; სამშობლოს წინაშე კი ვალი მხოლოდ მდიდრებმა უნდა მოიხადონ, ჯარისკაცებად მხოლოდ—მხოლოდ მდიდრები უნდა იქმნენ გაწვეულნიო, აი თვითეული გულისთქმის შინაარსი.

ერთი სიტყვით, ბოლშევიზმი, როგორც იგი ჩვენმა ხალხმა შეითვისა, უკიდურესი

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

მეთაური—ქართული სოციალიზმი.

ვ. წერეთელი—ბოლშევიზმი.

ფელეტონი=კ. კაპანელი-ჭანტურაია—ეროვნული სული.

**ცნობები.**

ქუთაისში ერობის არჩევნები 18 აგვისტოს მოხდა, ს. დემოკრატებისა და სოც ფედერალისტების სიამ მიიღო 3150 ხმა. ეროვნულ დემოკრატებმა 1120 ხმა და ს. რევოლიუციონერებმა 140 ხმა. ბლოკმა გაიყვანა 10 ხმოსანი, ეროვნულ დემოკრატებმა 4. ესერებმა ვერც ერთი. სოფლებში არჩევნები უწესოთ ტარდება. სოციალისტები ძალადობას ადგიან. ბევრ სოფლებში, სადაც საქმე ცუდათ ჰქონდათ არჩევნები ჩაშალეს. საქართველოს მთავრობამ გერმანეთიდან 50 მილიონის სესხი აიღო. ჩვენი ჯარი ლესხუმში იმარჯვებს.

---

ანარქიზმია, ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის დამშლელი და განმანადგურებელი.

საუბარში შემთხვევით ერთი ინტელიგენტიც ჩაერია, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტს უწოდებდა თავს. მან ცეცხლს ნავთი დაასხა. მიწა მხოლოდ მიწის მუშას უნდა ჰქონდეს, მიწა არა-მიწის მუშას რად უნდაო, ამბობდა. და ზოგიერთ მესაუბრეს ეს ლოზუნგი ძალიან მოეწონა.

— ჰირნახული მარტო მუშაობის ნაყოფი კი არ არის, არამედ ბუნების შემოქმედებისაც, ბუნება კი თანასწორად ეკუთნის მიწის მუშასა და არა მიწის მუშას თქო, მივუგე.

მაგრამ ჩემმა სიტყვამ ფედერალისტი კიდევ უფრო გაამწარა. სწორედ ავადმყოფობად გადაექცათ ფედერალისტებს ეს უცნაური ლოზუნგი, „მიწა მიწის მუშასო“.

და სწორეთ ამგვარსავე საუბარს ვუგდებდი ყურს ტფილისიდან ქუთაისისკენ მგზავრობის დროსაც.

აგერ ახლა სოფელ სვირში ვიყავი და სოციალ დემოკრატების მიტინგს დავესწარი. და სოციალდემოკრატ-მენშევიკების ერთერთმა ბელადმა სწორეთ იგივე ბოლშევიზმი იქადაგა. ჯერ, რასაკვირველია, დაბალი ლობე გადათელა, ე. ი. გაძვალ ტყავებულ თავადაზნაურობას დასწვმა, მოღალატეობა, შემდეგ არასოციალისტურს, მაგრამ ლიბერალურსა და დემოკრატიულ პარტიასაც—ეროვნულ დემოკრატიას იგივე დააბრალა და დასასრულ ვაჭარმრეწველ კლასს გადაათხია ძულების ბალღამი. ერთი სიტყვით მსმენელთა გულში ძულების თესლი ჩასთესა.

მაშ, გეკითხებით მკითხველო: ხსენებული მენშევიკი განა იმავე ბოლშევიზმს არა ჰქადაგებდა?!

მაგრამ საინტერესო იყო, როგორ მოისმინა მსმენელთა უმეტესობამ ჩემი საუბარი.

აი ჩემი საუბრის შინაარსი. შეუძლებელია, ადამიანთა შორის მარტო ბრძოლა იყოს: პირიქით, ვაჭარი, მიწის მუშა, მექარხნე, ქარხნის—მუშა, ექიმი, მოხელე, ხელოსანი და სხვ. ერთმანეთისათვის საჭირო არიან. შეუძლებელია კაცთა საზოგადოება მგლების ბრბოდ წარმოვიდგინოთ. ადამიანსა და მგელს შორის რომ საზღვარი არ დავსდოთ, ადამიანური სამართლიანობის შესახებ ლაპარაკიც კი მეტი იქნებოდა. ბრძოლას თან სდევს შეთანხმება, შერიგებაცათქო და სხ.

მაგრამ სიტყვამ სოციალური შერიგების შესახებ მსმენელთა უმეტესობაში ცინიკური დაცინვა გამოიწვია,—ცინიკურითქო, ვამბობ, ვინაიდან თვითეული მათგანი ყოველ ჩემ სიტყვას დასცინოდა და ქირდავდა და თან ცუდიერად იკრიჭებოდა და იჯღანებოდა.

საზოგადოდ მოპირდაპირის აზრისადმი არა პატივისცემა—ჩვეულებად გადაქცევია ჩვენებურ სოციალისტს.

და ამ არ პატივისცემის მაგალითი, რასაკვირველია, სათავეშივეა. განა ეროვნული საბჭოს სოციალისტური ფრაქციების—მეტადრე სოციალ დემოკრატიულისა და სოციალისტ-ფედერატიულის—უსირცხვილო გამოსვლები მათი მოპირდაპირე ფრაქციის წინააღმდეგ საკადრისია პოლიტიკური პარტიისათვის!? განა ირ. წერეთლის, სოსიკო მდივნისა და ძმათა მათთა საპარლამენტო სიტყვები, რომლებითაც ისინი ვითომ ეროვნულ დემოკრატიას შეურაცყოფენ, პარლამენტის შეურაცყოფა არ არის?!

განა ჩვენში დღეს არის სადმე ან სამართალი ან წესი და რიგი?! რასაკვირველია არა. პირიქით, ყველგან მძლავრობს პირადობა, შური, ჩემიან—შენიანობა საზოგადოს, საერთოს, ხეროს.

მაშასადამე ჩვენი ეროვნული ორგანიზმი ღრმად დაავადებულია რუსული ბოლშევიზმით. და, ვიდრე ერი ამ საშინელ სენს არ მოიხდის, მანამდის იქნება ნგრევა და არეულობა და შეუძლებელი იქნება აშენებლობითი ანუ შემოქმედებითი მუშაობა.

**ვასილ წერეთელი.**

---

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

## მთავრობის მოქმედება.

16 აგვისტოს სხდომაზე მთავრობამ გენ. მაზნიაშვილის განკარგულებაში გადასდო ხუთასი ათასი მანეთი, სამასი ათასი სამხედრო საჭიროებისათვის, დანარჩენი დაპყრობილ ადგილებში ადმინისტრაციის მოსაწყობად.

—

დამტკიცებულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვა 93,000 მანეთი.

დაადგინეს: დაიხუროს ლაზარეთი № 33 და მოსამსახურეებს სალიკვიდაციო მიეცეთ საერთო საფუძვლებზე.

—

ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა მისთვის ქალაქში სპირტის რეკვიზიციის მოხდენის შესახებ არ იქმნა შეწყნარებული. ამის უფლება მხოლოდ მიწადმოქმედების მინისტრს აქვს. ავტომობილებისათვის სპირტის ხმარება სასტიკად აკრძალულია.

—

მარილის შესახებ ხელშეკრულების დადების საკითხის განხილვა დაევალა საგანგებო თათბირს, რომელშიაც შევლენ: ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი, მისი ამხანაგები და იუსტიციის და სურსათის მინისტრი.

## საერობო არჩევნები ქუთაისში.

საერობო არჩევნები ქუთაისში უკვე დასრულდა. არჩევნების წინ სოციალისტური პარტიები, როგორც ყოველთვის, დიდ მუშაობას ეწეოდენ, ბიულეტენებს და მოწოდებებს ოჯახებში არიგებდენ და მოქალაქეთ აძულებდენ, რომ ყუთებში მათი ბიულეტენები ჩაეყარათ.

არჩევნების დღეს, 18 აგვისტოს სხვადასხვა უბნებში დილის 8 საათზე, საარჩევნო კომისიებმა ყუთები დადგეს. მთელ ქუთაისში დადგმული იყო სულ 12 ყუთი. ხმების მიცემა საღამოს 8 საათამდის გაგრძელდა. საერთოდ არჩევნებში ძალიან ცოტამ მიიღო მონაწილეობა. ვინც მიიღო მონაწილეობა ისინიც თითქმის იძულებით მიჰყვდათ.

ბლოკისტებს სოც. დემოკრატებს და სოც. ფედერალისტებს მოსვენება არ ჰქონდათ, დარბოდენ ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩამდის. თავიანთ ბიულეტენებს ყველას ხელში აძლევდენ და ემუდარებოდენ, რომ ხმა მიეცათ იმ პარტიისათვის „ვინც ემხრობა მთავრობას, ვინც გადაარჩინა საქართველო თათრების დარბევისაგან და ვისაც შეუძლია პურის მიწოდება“.

---

# ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს უ ლ ი. *)

2.

საქართველოს წარსულში ჩვენ ვხედავთ ქართველის დამახასიათებელ თვისებებს: ქართველი როგორც ტიპი „ისტორიული“ პიროვნებაა, რადგან ქართველის ინდივიდუალურ თვისებებს ჰქმნიდა ქართველ ერის ისტორია. საზოგადოთ ეროვნული ტიპი გამომხატველია ეროვნულ—კულტურულ მოძრაობის და განვითარების: პეჩორინი წარმოუდგენელია გერმანეთში ისე როგორც ფაუსტი წარმოუდგენელია რუსეთში. ფაუსტი შეიძლება საკაცობრიო, მსოფლიო იდეალების და აზრების გამომხატველი ტიპი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა ფაუსტის ფსიხოლოგიური დაზგა გერმანულია და ფაუსტი გერმანელი. ჩვენი ბარათაშვილი ძალიან წააგავს ლერმონტოვს და ბაირონსაც, მაგრამ ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია ბარათაშვილი რუსი, ლერმონტოვი ინგლისელი და ბაირონი ქართველი.

შემოქმედ ინდივიდუალობაში ლაპარაკობს არა მარტო ინდივიდუმი—კონკრეტი პიროვნება, არამედ საუკუნეთა ეროვნული მოძრაობა და განცდა: ეროვნული ტიპი არა მარტო ფსიხოლოგიური, არამედ ისტორიული ფენომენია. ყოველივე ქართველის მოძრაობაში იხატება მთელი ისტორია და ეროვნული თავისებურობა: უბრალო ლაპარაკის დროს თქვენ შეგიძლიათ ქართველის სახეზე ამოიკითხოთ საქართველოს წარსული რა თქმა უნდა თუ ქართველი არ არის გადაგვარებული და დამახინჯებული, თუ ქართველს შერჩენია ქართველობა—ეროვნული სახე. ეროვნული სული ისტორიულ მოძრაობაში ღრმავდება და ფართოვდება: რაც უფრო მდიდარია ერის ისტორია აზრებით, კულტებით, დაწესებულებებით, აჯანყებებით, ომებით, მით უფრო შინაარსიანია, მით უფრო საინტერესოა და ღრმა ეროვნული სული, ერი განსაკუთრებული პირობებში რომელიმე მიწა—წყალზე დაბინავებული სულიერად და ორგანიულად უახლოვდება ტერიტორიულ თავისებურობას და საუკუნეთა განმავლობაში იქმნება კავშირი ფსიხოლოგიურ ერისა და ტერიტორიის შორის. ეს კავშირი ძლიერია და მკიდროა—ეს კავშირი ორგანიულია—ნაყოფია შეთვისების და შეგრძნობის—ნაყოფია მრავალ წელთა ძიების, ბრძოლის და შეთანხმების.

გრენლანდიაზე მცხოვრებლებს პარიზში ცხოვრება არ შეუძლიათ და პარიზელები გრენლანდიაზე ვერ იცხოვრებენ: სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა ტიპებს შეუძლიათ ცხოვრება და ისიც მხოლოდ ისტორიულ შეგუების და შეგრძნობის შემდეგ. ეროვნული შეგრძნობა და შეგუება—საუკუნეთა საქმეა და არა პოლიტიკოსთა სურვილი: თქვენ შეგიძლიათ მარქსიზმის თვალსაზრისით უარყოთ სამშობლოს სიყვარული, მაგრამ სინამდვილეში ქართველი ყოველთვის იტყვის:

არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა, არ გავსცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

სამშობლოსადმი აღფრთოვანება და სიყვარული ბუნებრივია, ორგანიულია და ვერავითარი მარქსის კათეგორია ვერ დაარღვევს მის მთლიანობას და ძალას. სამშობლოს სიყვარული ინსტიქტის საქმეა და არა გონების: იდეა კაცთმოყვარეობის მორალური კათეგორიაა, მსაჯულობის და აზრის ნაყოფია და თვით სიყვარული ამ იდეაში არ გამოიხატება; ამაში გამოიხატება მხოლოდ ადამიანის მოვალეობა და ადამიანი ბოლოს და ბოლოს მოვალეობას ასრულებს იმდენად, რამდენად მოვალეობის ასრულება იწვევს ადამიანში ესთეტიურ სიამოვნებას.

სამშობლოს სიყვარული ერთნაირი მიდგომილობაა, ორგანიული კავშირის გამოაშკარავებაა; სამშობლოს სიყვარული წმინდა გონების და ყოველივე მორალის გარეშეა; სიყვარული სიყვარულია და დამტკიცება სიყვარულის ყოვლად შეუძლებელია:

სიყვარულის დამტკიცებაში, სიყვარულის კონკრეტიული სახე იცრიცება და იკარგება, რჩება მხოლოდ მორალური ანუ სიყვარულის მორალი—რჩება მხოლოდ შეცოდება და შეურაცყოფა. ახალგაზდა კაცს შეიძლება შეეცოდოს ქალი და უთხრას მას: „მიყვარხართ“ და მასთან სიტყვა „მიყვარხართ“ იყოს მარტო მორალური დამოკიდებულების გამომხატველი—შებრძოლების გრძნობა, მაგრამ ეს ხომ ქალის საშინელი შეურაცყოფა იქნებოდა და მასთან თვით სიყვარულის დამახინჯება.

სწორედ ასეთია სამშობლოს სიყვარული სოციალისტების ხელში: სოციალისტებს სამშობლო უყვართ იმდენად, რამდენად, მაგალითად, „უყვართ კაცობრიობა, ანუ რომელიმე სხვა ერი. სხვაც გახსოვდეს და გიყვარდესო, იდეა თანასწორობის უმაღლესი იდეააო. კარგი მაგრამ თანასწორობა სიყვარულში განა შეიძლება? განა შეიძლება მე სხვისი დედა მიყვარდეს ისე როგორც ჩემი? განა შეიძლება გერმანელს რუსეთი ისე უყვარდეს როგორც გერმანეთი? —ცხადია არა. სიყვარული სხვაა და მორალი სულ სხვა: ადამიანი გიყვარს არა იმიტომ, რომ გეცოდება, არამედ სიყვარულში სიამოვნებას გრძნობა და ამ სიამოვნებაში ფსიხოლოგიურად იძირება, იკარგება.

სოციალისტების სამშობლოს სიყვარული კომპრომისულია: მათ სამშობლო უყვართ იმდენად რამდენად შესაძლებელია სოციალიზმის კათეგორიებისა და სამშობლოს სიყვარულის შეთანხმება, რამდენად მორალი ურიგდება გრძნობას და გონება გულის მოთხოვნილებას, მაგრამ შეთანხმება და კომპრომისი აქ ყოვლად შეუძლებელია: ლაპარაკობს მხოლოდ ერთი ენა—მხოლოდ სიყვარული, ეროტიული გრძნობა საუკუნეთა ცახცახით და ბრძოლით ნაქსოვი.

საქართველო იყო, როდესაც საქართველოში არ არსებობდა არავითარი კლასი, საქართველო იქნებ, როდესაც კლასთა უთანხმოება მოისპობა—და ამიტომაც ქართველის საქართველო მხოლოდ იმ ზომამდე უყვარდეს, რა სიყვარულის ზომას მოითხოვს მის კლასობრივი ინტერესი; შეუძლებელია, საქართველო—კონკრეტიული ისტორიული რეალობაა, კლასი მხოლოდ სოციოლოგიური კათეგორიაა. საქართველოს ისტორიული სახე მარადიულია, კლასი როგორც სოციოლოგიური ერთეული, წარმავალია, რადგან მის არსებობის საფუძველს შეადგენს ცვალებადი მატერიალობა, ნივთიერება; და თვით კლასი ისტორიაში მოკლებულია **კონკრეტობას:** მას აქვს მხოლოდ **განყენებული** სოციოლოგიური სახე. ქართველი, რომელსაც საქართველო დავიწყებია და იმედი სიურ ინტერესს „ემსახურება, მოგვაგონებს ფრანგ მწერლის რაბლეს მეცხვარეს, რომელიც თავის ცხვრებს უგნურად გადაყვა ზღვაში,

ქართველი თავის ბუნებით ინდივიდუალისტებია: ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი საქართველოს სიმბოლოა: საქართველოს მიწა-წყალზე არც ერთ ჩის გადეუფრენია საქართველოს ნება დაურთ-

*) იხ. „ჩვენი ქვეყანა“ № 150.

არა ნაკლებ მუშაობას ეწეოდნენ ეგრედ წოდებული სოციალ რევოლუციონერები. ეს უკანასკნელებიც დიდ იმედს ამყარებდენ არჩევნებზე.

ასე გავიდა მთელი დღე. საღამოს 8 საათზე კომისიებმა ყუთები გახსნეს. ბიულეტენების დათვლის შემდეგ არჩევნებმა ასეთი რეზულტატი მოგვცა.

**ს ა მ თ ო უ ბ ა ნ ი.**

| | № 1. | № 2. | № 3. | სულ. |
|---|---|---|---|---|
| რეალური სასწავლებელი | 449 | 197 | 9 | 655 |
| საოლქო სასამართლო | 48 | 54 | 35 | 137 |
| ქვედა საფიჩხია | 272 | 102 | 3 | 377 |
| ზედა საფიჩხია | 242 | 9 | 2 | 253 |
| მწვანე ყვავილა | 169 | 51 | 16 | 236 |
| **სულ სამთო უ'ანში** | 1180 | 413 | 65 | 1658 |

**შ უ ა უ ბ ა ნ ი.**

| | № 1. | № 2. | № 3. | სულ. |
|---|---|---|---|---|
| ქალაქის გამგეობა | 214 | 114 | 19 | 347 |
| სასულიერო სასწავლებელი | 301 | 32 | 9 | 342 |
| ჰომა | 103 | 25 | 9 | 137 |
| ეპარხიალური სასწავლებელი | 208 | 28 | 5 | 241 |
| **სულ შუა უბანში** | 826 | 199 | 42 | 1064 |

**წყალ გაღმა უბანი.**

| | № 1. | № 2. | № 3. | სულ. |
|---|---|---|---|---|
| ქართული გიმნაზია | 548 | 308 | 13 | 779 |
| ორპირის ქუჩა | 270 | 104 | 6 | 380 |
| მესხეთის ქუჩა | 416 | 96 | 14 | 526 |
| **სულ წყალ გაღმა უბანში** | 1144 | 508 | 33 | 1685 |
| სულ !ამივე უბანში | 3150 | 1120 | 140 | 4410 |

ამ რიგად პირველმა ნუმერმა ქალაქ ქუთაისში მიიღო 3150 ხმა, მეორე ნუმერმა 1120 ხმა და მესამე ნუმერმა 140 ხმა. სულ ქუთაისში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 4410 კაცმა და როგორც ზევით ვთქვით ესენიც იძულებითი იყვნენ მოსული.

პარტიებმა მხოსნები ასე გაიყვანეს: სოციალ-დემოკრატებმა და სოც. ფედერალისტებმა გაიყვანეს 10 ხმოსანი, ეროვ. დემოკრატებმა 4 ხმოსანი და სოც. რევოლუციონერებმა 00 ხმოსანი.

მართალია ხალხი ძალიან გულცივათ შეხვდა არჩევნებს, არჩევნებში მონაწილეობა ცოტამ მიიღო, მაგრამ ის კი სჩანს, რომ ხალხის დამოკიდებულება პარტიებისადმი იცვლება და თუ გაუწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ქუთაისი ბუდე იყო ეგრედწოდებული სოციალისტებისა, დღეს შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტები ქუთაისში მარცხდებიან.

რაც შეეხება იმ მოვლენას, თუ როგორი ორგანიზაციით და წესით მოხდა არჩევნები, ეს უკვე ღირსია საზოგადოების. მთელი ორი თვის განმავლობაში ემზადებოდა ქალაქის საამომრჩევლო კომისია და ხალხს ვერც კი გააგებინეს როდის, რის შესახებ და რა ადგილებში იყო დანიშნული არჩევნები. ამ საარჩევნო კომისიის უმოქმედებით და დაუდევრობით აიხსნება, რომ ფართო საზოგადოებას საშუალება მოესპო არჩევნებში მონაწილეობა მიეღო.

მაგრამ არის მეორე უფრო მიუტევებელი და ყოვლად დაუშვებელი შეცდომა: ხსენებულმა კომისიამ ვერ მოახერხა, რომ პიროვნების ბარათები მიეწოდებია ხალხისათვის, რაც არჩევნების წესიერად ჩასატარებლად აუცილებელია და როდესაც პიროვნების ბარათები არ არის არჩევნების დროს დიდი ბოროტება ხდება.

როგორც ვიცით თვითეულ უბანში რამდენიმე ყუთი სდგას, არის რამდენიმე კომისია. თვითეულ უბანში ყველა ყუთებთან კომისიებს აქვთ წიგნები. ერთი და იგივე ამომრჩეველი ყველა წიგნებში არის შეტანილი, ასე რომ თვითეულ ამომრჩეველს შეძლება მიეცა ბოროტება ჩაედინა მისულიყო სხვადასხვა ყუთებთან და ხმა რამდენჯერმე მიეცათ რომელიმე პარტიისათვის.

ჩვენ კიდეც შევნიშნეთ, რომ ეს ჩაიდინა ზოგიერთებმა, მაგრამ ამას ვერც ქალაქის კომისია უარყოფს, რადგანაც ეს მასაც კარგად მოეხსენება.

და ეს რომ არ მომხდარიყო, ქუთაისის მცხოვრებთა უმეტესობას არჩევნებში მონაწილეობა რომ მიეღოთ არჩევნების შედეგი კიდევ უფრო შეიცვლებოდა და სოციალისტების ბლოკი უეჭველია კიდევ უფრო დამარცხდებოდა.

და რამდენათ იქნება ნდობით აღჭურვილი 4410 კაცისაგან ამორჩეული ქალაქ ქუთაისის საერობო ხმოსნები, ეს თვით საზოგადოების და სახელმწიფოს წესრიგის საკითხია.

ველად. საქართველო ყოველთვის იწვოდა ბრძოლის ცეცხლში და ბრძოლაში იჩალხებოდა, იწვრთნებოდა ორგანიულად და სულიერად.

ქართველის ფიზიკური გარეგნობა, ორგანიული კოპწიაობა, სიმახვილე და სიცქრიალე, აღჭურვებული სულიერი განწყობილება, ყოველთვის აჩქარებული მოქმედება, თითქმის ნერვიული მდგომარეობა, აღმოსავლეთური თვალემა და ეროვნული გატაცება ისტორიულად შექმნილი თვისებებია და მათი უარყოფას და გადაკეთებას ვერავითარი ევროპა ვერ შესძლებს.

ჩვენ უარვყოფთ წარსულისადმი რომანტიულ ტრფიალებას, ჩვენ არ გვსურს წარსულის ინტეგრალური განმეორება: ასეთ ოცნებებს ჩვენთან ადგილი არა აქვს, მაგრამ ჩვენ ვამბობთ: **საქართველოს უნდა შერჩეს თავის ისტორიული სახე** და რამდენაც საქართველო განახორციელებს ქართველ ერის ისტორიულ იდეას, იმდენად უფრო მაღლა დადგება სხვა ერთა შორის ქართველი ერი.

კაცობრიობის კულტურული სიმდიდრე ეროვნულ კულტურათა ჯამია და ის ვინც უარყოფს და არ ემსახურება ეროვნულ შემოქმედებას, უარყოფს მსოფლიოს და კაცობრიობის იდეალს: ვინც თავის ერს კუდმოჭრილ ძაღლს ეძახის და დონკიხოტობს, ვისაც არ ესმის ქართველი ერის საუკუნეთა ძახილი და გმირთა ხმა, ვინც ავთანდილის სიმღერას და ტარიელის ცრემლებს, ოთარაანთ ქვრივის მარადიული სასო-წარკვეთილებას და მინდიას ტანჯვაში ქართველი ერის განსახიერებული სიბრძნეს ჰანრი ჰაინეს ქარაგმებით აზავებს, იგი **ქართველი** არ არის და კაცობრიობასაც ვერ ემსახურება.

ქ. კაპანელი — ჭანტურაია.

## საერობო არჩევნები სოფლად.

თუ რა შედეგები მოჰყვა საერობო არჩევნებს სოფლად ჯერ არ ვიცით. არ გვაქვს ცნობები იმ სოფლებიდან, სადაც არჩევნები მოხდა, რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო და რამდენი კანდიდატი გაიყვანეს, მაგრამ ამ უკანასკნელ საათში ჩამოსული პირები გადმოგვცემენ იმ სამარცხვინო მოსალოდნელ მოქმედებას რასაც სოციალისტური პარტიებისაგან ჩვენ მოველოდით.

ბევრ, ძალიან ბევრ სოფლებში არჩევნები არ მომხდარა. სოციალისტებმა არჩევნები არ ისურვეს იმისთვის, რომ სოფლის გლეხობას გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ხმები მხოლოდ ეროვნულ დემოკრატების სიისთვის მიეცათ. ასეთი ცნობები გვაქვს სოფ. ოფიჩხეთიდან, ფარცხანაყანევიდან, მაღლაკიდან და სხვა სოფლებიდან.

ს. ნაგარევში სოციალისტებმა ყუთის დადგმის წინ მიტინგი მოაწყვეს. ყუთი დადგეს 12 საათზე 2 საათზე დასასვენებლად ეკლესიაში ჩაკეტეს, 4 საათზე ბლოკისტებმა ეკლესიიდან სხვა პარტიების დაუსწრებლივ გამოიტანეს ყუთი და ჩაიდინეს ის რაც თვითონ უნდოდათ. მიუხედავათ იმისა, რომ ყუთი დღის 12 საათზე დადგეს. ხმის დასათვლელად კი საღამოს 6 საათზე გახსნეს.

სოფ. დიდ ჯიხაიში 18 აგვისტოს სოციალისტებმა ყუთი არ გახსნეს. ღამე იხე დასტოვეს. რა მოსაზრებით არ ვიცით.

აღმაშფოთებელი ამბები მოგვდის აგრეთვე სხვა სოფლებიდანაც და ვკითხულობთ სად არის დემოკრატიული არჩევნები, სად არის დემოკრატიული მთავრობა, სად არის უბრალო პატივის ცემა, იმ გლეხებისადმი რომელთა ინტერესების დამცველად მოაქვთ თავი ჩვენებურ სოციალისტებს: სოც. დემოკრატებსა და ფედერალისტებს, მაგრამ პატივისცემა განა შეიძლება როდესაც მათრახებით თავს ადგიან გლეხებს და აიძულებენ რომ ყუთში პირველი ნუმერი ჩააგდონ?

ჯერ-ჯერობით მიღებული ცნობებით არჩევნები უკანონოთ ტარდება და უკანონო არჩევნები უკანონოდ უნდა იქმნეს ცნობილი.

## ბრძოლა ანარქიასთან.

**ლეჩხუმი.**

(დეპეში ხრესილიდან გუბერ. კომისარს)

გატყობინებთ რომ სოფ. ზოგიშმა პჭარამ და ალპანამ 80 თოფი ჩაგვაბარა. ჩვენი მზვერავები ლოფელ გვარდიანამდე ღწევენ. მზვერავების ცნობით მცხოვრებლები მთავრობას მხარს უჭერენ. რაზმის სულიერი განწყობილება საუცხოვოა.

**პოლკ. ზაქარიაძე**

(დეპეში ტყიბულიდან)

აგვისტოს 17 ს მე დავათვალიერე ბაჯა, გადიშა, ქვარაშავრა დატოლა.. სვანებს ჩამოვიდენ სვანებისაგან რაზმებს ვადგენ. მოწინააღმდეგეს უკავია ს. ჰყვიშა ქამხა და იძალა. დავაპატიმრე ერთი გამოქცეული.

**შტ. კაპ. ნაცვლიშვილი.**

**ნაოლალევის რაიონი.**

ნაოლალევის რაიონში „ბოლშევიკურ“ ბრბოებ ს მეთაურებმა მცხოვრებთ ულტიმატუმი წარუდგინეს იარაღის ჩაბარების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ზარბაზნებით ყუმბარებით იმუქრებიან.

# უ ც ხ ო ე თ ი.

## ო მ ი

**გენ. შტაბის ლაშქარი.** რუანის დასავლეთით და ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. რომელსაც მოჰყვა მტრის იერიშები, ავრის ორივე მხრით და სიმაღლეებზე უაზის აღმოსავლეთით. ტიეკურის სამხრეთით მტერს დარჩა პარკი ატტე.

სხვა შემთხვევებში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ყველა იერიშები. დიდი ზიანი მიაყენა მტერმა ბრძოლებში ლასინთან. აქ მტერმა 6 ჯერ განიზრახა შტურმი, მაგრამ ათი საათის ბრძოლის შემდეგ უკან დავახევიეთ.

**სტამბოლი 16 აგვისტო.** ომის ცნობა. ზოგ ადგილებში საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. მედინის სამხრეთ დასავლეთით 10 აგვისტოდან დაიწყო საარტილერიო ბრძოლა და გაგრძელდა 11 აგვისტ. საღამომდე. ღამით 22 აგვისტოს მტერმა დასტოვა თავის პოზიციები და უკან დაიხია.

## ბ ა ქ ო.

მენშევიკ-ესერ-დაშნაკელთა საბჭომ კრიტიკულ მომენტის გამოისობით გამოაცხადა საყოველთაო იძულებითი მობილიზაცია. თუ ვინმე ამ დროს წინააღმდეგობას გასწევდა, ან არ მოისურვებდა ჯარში ჩაწერას, ნეიტრალიტეტს დაიცავდა, სასტიკად სჯიდნენ. განსაკუთრებით დაშნაკელები იჩენდნენ ამ შემთხვევაში სიმკაცრეს და „ვრაციებს“ განსაკუთრებით სდევნიდნენ და აიძულებდნენ უსათუოდ ჯარში ჩაწერილიყვნენ.

ქართველებს უნდოდათ ნეიტრალიტეტი დაეცვათ ეროვნულმა საბჭომ გამოიტანა ასეთი დადგენილება; სურდათ თუ მაინც და მაინც აეღოთ მხოლოდ ქალაქის დაცვა-დარაჯობა, თუ ესეც შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ ცალკე ქართველების რაზმი შეედგინათ, მაგრამ დაშნაკელებმა ეს არ ისურვეს იმ მოსაზრების გამო, რომ შეიძლება ქართველებს გადამწყვეტი როლი ეთამაშნათ ამ ბრძოლაში. საერთოდ კი დაშნაკელები მეტად უხამსად ექცევიან თურმე ქართველებს. საჭიროა ამას ჩვენსა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მოაქციოს, საერთოდ-კი უნდა ვეცადოთ ქართველები პროვოკაციას გადავარჩინოთ, რადგანაც პროვოკატორების წყალობით ისმაილოვები ტყვე ქართველებს მეტად ცუდათ ექცევიან და იმათ ბოლშევიკებს უწოდებენ.

დღეს ასეთი მდგომარეობაა; ბაქოს ჯარი, რომელიც შესდგება უმთავრესად სომეხ-ჯარისკაცებიდან იბრძვის რუსეთისათვის „ყველაფერი ბაქოსათვის და ბაქო კი რუსეთისათვის“, აი იმათი ლოზუნგი. აი იქაური ესერ-დაშნაკელთა კრედო. მაგრამ ბაქოს დღეები დათვლილია და სულ მალე აიღებენ მას ოსმალოს ჯარისკაცები.

## შეერთებულ შტატებში.

— ამერიკის სამხედრო დეპარტამენტმა განკარგულება გასცა შემოღებულ იქნას სამხედრო მაცადინეობა ყველა სახალხო შკოლებში. ამასთან ერთად ამერიკის მთავრობის მიერ სახელმწიფოს საზღვრებიდან გაშვებულ იქნება ყველა ის უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი, რომლებმაც ჯარში ჩაწერაზე უარი განაცხადა.

— საფრანგეთის გაზეთები ყოფილ შეერთებულ შტატების პრეზიდენტის დამახასიათებელ სიტყვას აღნიშნავენ. ეს სიტყვა მან სან-ლიაზორის უნივერსიტეტის საზეიმო სხდომაზე სთქვა. მოიხსენია რა დასავლეთ ფრონტის მდგომარეობა და აღნიშნა ზოგი რამ მთელი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ **ტაფტმა** მიუთითა რუსეთის ფრონტის ამერიკის ძალთა შემწეობით აღდგენაზე.

## რ უ ს ე თ ი.

იუწყებიან, რომ გამოჩენილი ვექილები და სამოსამართლო მოღვაწენი პეტროგრადში საშინელ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიან. სენატორი **კონი**, რომ როგორმე თავი გაიტანოს ძვირფას ნივთეულობის ვაჭრათ დამდგარა, ხოლო, **ზარუდნი** მეეზოვის თანაშემწის როლს ასრულებსო.

— მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმა არხანგელსკში, მურმანზე გრძელდება. რიცხვი, გადმოსხმულ ჯარის-კაცთა 15 – 20 ათასს აღემატება.

„ტიმესი“ იუწყება, რომ ბოლშევიკების სატახტო ქალაქი მოსკოვის დაკლას შეუდგენ და თავიანთი მართვა გამგეობა სხვა ქალაქში გადააქვთო. „ტიმესი“ ამაში ხედავს ბოლშევიზმის აგონიას.

— რუსეთის პროვინციებიდან ცნობები მოდის, რომ პირნახული უკვე მოკრიბეს. ზოგიერთ ადგილას მოსავალი კარგი იყო. ასეთივე ცნობები მოდის ორიოლიდან და ვორონეჟის გუბერნიიდან.

ხარკოვის მეხორბლეთა კავშირის კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ადგილობრივ კავშირს გაუქმებულ იქმნას კანონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის მონოპოლიისა და მის ნაცვლად დაწესდეს საპურო ბეგარა.

— **ნიკოლოზ მე-2** რუსეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ნამეფარის ნიკოლოზ მეორის დღიური. ნიკოლოზი თავის დღიურში ეხება იმ ამბებს, რომელიც მის მეფობიდან გადაყენებას უძღოდა.

## ბოლშევიკები და ჩეხო-სლოვაკები.

**მოსკოვი, კრემლი.** ცენტ. აღმ. კომიტეტთან არსებული ბეჭვდითი სიტყვის ბიურო იუწყება:

**ჩეხო-სლოვაკების** ფრონტზე ალაპაევსკის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სადგური ანტრაციტი და მიიწევენ წინ ირბიტისაკენ. ტაზელის მიმართულებით მოწინააღმდეგე უკან იხევს. ნიკოლაევის მიმართულებით მტერი დავამარცხეთ და გავფანტეთ. ჩვენ ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალა. ჩვენი ჯარები უტევენ სიზრანს და მიუახლოვდენ სიმბირსკს, ყველა თავის პოსტზეა.

— **ვოლოგდიდან** იუწყებიან, რომ ინგლის-საფრანგეთის შეტევის დროს დაღუპენ საგუბერნიო აღმას. კომიტეტის წევრი ზენკევიჩი. სამხედრო კომისარი და სხვები.

— **ჩრდილოეთ** აღმოსავლეთ მიმართულებით ბოლშევიკების ჯარი უტევს ონეგას. ყაზანის რაიონში ბრძოლაა.

— ბოლშევიკური ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია არხანგელსკიდან ხოლმოგორამდე, რადგან რკინის გზა დაიკავეს ინგლისელებმა.

# ახალი ამბავი

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **კ. კაპანელის ლექცია.** შაბათს 24 აგვისტოს სამტრედიაში და კვირას 25 აგვისტოს ქ. ხონში ლიტერატორი კ. კაპანელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სოციალიზმი და ეროვნული დემოკრატია“.

✦ **საერობო არჩევნები სოფ. ჭალისთავში.** სოფ. ჭალისთავში (ქუთ. რაიონი) საერობო არჩევნები მოხდა 18 აგვისტოს. ს. დემოკ. და ფედერალისტების ბლოკმა მიიღო 95 ხმა, ეროვნულ დემოკრატების სიამ—35 ხმა და სოც. რევოლუციონერების სიამ—13 ხმა.

✦ **სესხი გერმანეთიდან.** საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ბერლინში გერმანეთიდან აიღო 50 მილიონი მანეთის სესხი.

✦ **ს. კედიას ჩამოსვლა გერმანეთიდან.** გერმანეთიდან თბილისისს დაბრუნდა სტამბოლის კონფერენციაზე დასასწრებლათ გამგზავრებული სპ. კედია.

✦ **ეპ. გეგეჭკორი.** ქუთაისში ჩამოვიდა ეპ. გეგეჭკორი.

✦ **ლეჩხუმში.** ჩვენი ჯარი ლეჩხუმისაკენ წინ მიიწევს. სოფლელები იარაღს იძლევა და მორჩილებას აცხადებს.

✦ სასურსათო მინისტრს დაევალა პური მიაწოდოს გურიას და სამეგრელოს, სადაც ეხლა დიდი შიმშილობაა.

✦ **არჩევნების გაგრძელება.** სამტრედიის ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა, რომ არჩევნები ერთი დღით გაეგრძელებიათ. საარჩევნო კომისიამ თხოვნა დააკმაყოფილა.

✦ **ხონის** რაიონში არჩევნები გადაიდვა, ვინაიდან იქ ანარქიამ იჩინა თავი.

✦ **ტელეგრაფით სარგებლობა.** გენ. სუმბათაშვილს თბილისიდან ფოსტა-ტელეგრაფის საქმეთა მმართველი მგელაძე ატყობინებს, რომ აკრძალულია დეპეშის უფასოთ გადაგზავნა, როგორც მთავრობის წარმომადგენლებისათვის ისე კერძო პირთათვის. უფასოთ დეპეშის გაგზავნა შეუძლია მხოლოდ ფოსტა ტელეგრაფის სამინისტროს უწყებას, მხოლოდ როცა მის საქმეს შეეხება. პირდაპირი მავთულით სარგებლობა შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევისათვის და მაშინაც საჭირო მთავრობის ნებართვა.

✦ **სამეგრელოს** ამბები. ზუგდიდსა და სენაკს შუა მიმოსვლა აღდგენილია. ამასწინეთ ბოლშევიკების მიერ დაპატიმრებული კომისარი და ორი მილიციონერი უკვე გამოუშვეს. ბანდების მეთაურებში უთანხმოებას უჩენია თავი, მოსალოდნელია რომ ბანდები თავისით გაიფანტონ.

✦ ოსის **დაჭერა.** 15 აგვისტოს, მცხეთის სადგურიდან მატარებელი, რომ დაიძრა რკინის გზის მილიციელმა შეამჩნია ერთ ოსს რამდენიმე ვინტოვკა მიჰქონდა. მილიციელი ამხანაგების დასახმარებლათ წავიდა. ეს გაიგო ოსმა და ვინტოვკები მატარებლიდან გადააგდო და თვითონაც გადახტა, მიუხედავათ იმისა, რომ მატარებელი მთელი თავისი სიჩქარით მიქროდა, მილიციელებიც გადახტენ. ატყდა სროლა. მგზავრები შეშინდა. მატარებელი გააჩერეს. რამდენიმე ხნის შემდეგ დაჭრილი ოსი მილიციელებს დანებდა რომელიც თბილისისკენ წაიყვანეს.

✦ **საჯარო ვაჭრობა.** ოთხშაბათს 21 აგვისტოს (ახ. სტ.) ყოფილ ხაპიორის პოლკის ყაზარმაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მეორე ბატარეის 3 ცხენი.

✦ დაპატიმრება. 19 აგვისტოს დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს გიორგობიანი და ვახტანგაძე, მათ განეძრახათ ბალახვანის ქუჩაზე რკინის ლოდით ჯიქიას მაღაზიის გატეხა, მაგრამ მილიციონერებმა ადრე გაიგეს და ბოროტგამზრახველები დაიჭირეს. აგრეთვე ამ ორ კვირის წინეთ მათ გაუტეხიათ გიორგაძის დუქანი და წაუღიათ 1900 მანეთის საქონელი და 150 მან. ფულათ. დანაშაულში ორივე გამოტყდა.

✦ **ხოლერა,** ხოლერით გუშინ წინ ავათ არავინ გამხდარა. გუშინ ავათ გახდა ივანე ხოფერიაძე, მესხეთის ქუჩაზე. სულ ხოლერით ავათ გამხდარა 35 კაცი. ამათში ერთი მორჩა დღიდან ხოლერის გაჩენისა ქუთაისში 20 კაცი გადაიცვალა.

✦ ქალაქის **სამკითხველო.** ქალაქის სამკითხველო დაკეტილია. გაიხსნება ახალ ბინაზე გადასვლის შემდეგ სამკითხველოში თავისუფალია გამგის ადგილი.

✦ **რესპ ბლიკის საზღვრებიდან გასვლა.** ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლა ჯარში გასაწვევ ახალგაზდებისა, ამისათვის ვუბ. კომისარმა ბრძანება გასცა, რომ არავის მისცენ ნებართვა საზღვარ გარეთ გასვლისა თუ ვისმეს ჯარში გაწვევა უწევს.

### თბილისი.

— **ლტოლვილები.** საქართველოს რკინის გზების უფროსმა გზათა მიმოსვლის მინისტრს აცნობა, რომ სად. სანაინზე აურაცხელი ლტოლვილები მოდიან. რაკი მატარებლებში ადგილი არ არის ვაგონების სახურავებზე სხდებიან და ისე მიდიანო და თან სთხოვს სასწრაფო სასტიკი ზომები იქნეს მიღებული, რომ ლტოლვილნი თბილისში არ შემოუშვან, რათა ბინის და სურსათის კრიზისი უფრო არ გაამწვავო.

— **გერმანელ ა მისსია.** პროფეს. ცუგმაიერის მეთაურობით თერგის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად წასულ გერმანელთა მისია გუშინ გზიდან უკან დაბრუნდა, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზაზე რამდენიმე ალაგას ზვავი ჩამოწოლილა.

— საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად ამ დღეებში გაიგზავნება გერმანელთა 2 როტა, რომელთაგან 1 როტა სად ყაზბეგთან იდგება, ხოლო მეორე სხვა და სხვა პატარა სადგურზე

— ამიერკავკასიის რკინის გზების გაყოფის საკითხის მოსაგვარებლად 30 აგვისტოს გერმანიის მისიის თაოსნობით შესდგება საგანგებო თათბირი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელნი.

## სამგლოვიარო წერილი.

### † ჯ. კ. გაბო ოთხმეზური.

შავი ზღვის გუბერნიაში ბრძოლის დროს დაიღუპა გაბო ოთხმეზური. ჯერ სულ ნორჩი ყმაწვილი. მან გასულ წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და გაითვალისწინა რა სამშობლოს განსაცდელი, დაუყონებლივ ჯარს მიაშურა და მოკვდა კიდეც წმინდა მოვალეობის სიმაღლეზე მდგომი.

გაბო ოთხმეზური პოლიტიკური რწმენით იმ საღი იდეის მატარებელი იყო, რომლის მიმდევართაც მიზნათ აქვთ დასახული სამშობლოს ნამდვილი სამსახური.

გაბოს დაკარგვა საგრძნობი დანაკლისია ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდობისთვის. მაგრამ ჩვენს სიმწუხარეს ვიქარწყლებთ იმით, რომ საყვარელი პარტიული თანამოაზრე ახალგაზდა მოკვდა:

მამულისთვის, წმინდა სამსხვერპლოზე!

არ დაგივიწყებენ მეგობრები სახელოვანო ახალგაზდა...

ჯ. კაცები: **ირ. დიდიძე. გრ. მეგრელიშვილი და მიხ. ლოლობერიძე.**

## საპროტესტო წერილი.

ჩვენ პირველ საარტილერიო ბრიგადის მე 4 ბატარეის ჯარის კაცები აღშფოთებული ვართ „სოციალისტების მიტინგზე“ შოთა დადიანის საგმირო საქციელით. უღრმეს გულის წყრომას უგზავნით მას და ვეკითხებით. რა ეწოდება მის გამოსვლას, თუ არა ხულიგანობა?

შესძლებს დაამტკიცოს გმირი შოთა, რომ ეროვნული დემოკრატები ბრძოლის ველზე არ არიან?

ბ-ნო სოციალისტო! იქნებ იმიტომ დემაგოგობთ ჩვენი ლაშქარში არ ყოფნის შესახებ, რომ ეროვნული დემოკრატები არ გაჰკივიან რაზმების შესახებ. იცოდეთ რომ ეროვნული დემოკრატები ჯარს პარტიულად არ ჰყოფენ. ისინი ებრძვიან პოლიტიკას ჯარში და დღეს ჯარში მყოფნი ეროვნული დემოკრატები ანსახიერებენ მხოლოდ ჯარის კაცს, იმ ჯარის კაცს რომელიც უნდა იყოს სამხედრო დისციპლინის დამცველი და მთავრობის ნამდვილი მორჩილი.

თქვენ მთა და ბარს აყრუებთ, რომ რაზმებით ჯარი შეჰქმენით, ტრაბახობთ, მაგრამ რაზმების და მიტინგებზე შეკრებილ ჯარის საზარელი ისტორია და მათგან მოტანილი მწარე ნაყოფი უკვე იგემა ერმა.

ახლა მთანიც კი ლაპარაკობენ რამდენათ მართალი ბრძანდებოდით თქვენ და რა დიდი ვნება მოუტანეთ სამშობლოს, როცა ჯარი პარტიულ სათამაშო იარაღად აქციეთ. მაგრამ ღირს ამაზე ლაპარაკი?

იქონიეთ სულგრძელობა. ტყუილა უბრალოთ უსამართლოდ და უმგვანოთ ნუ ესხმით თავს იმ ხალხს, რომელიც სამშობლოს მართლა ემსახურება და რომლის მოძღვრებითაც თქვენ ცხოვრება თქვენდა უნებურად გატარებთ.

თანამეომრების მონდობილობით: **ირ. დიდიძე, გრ. მეგრელიშვილი, მიხ. ლოლობერიძე** დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჩვენ გულის წყრომას შეუერთდებიან სხვადასხვა ნაწილებში მოსამსახურე ეროვნული დემოკრატი კარისკაცები.

**სახერის ფრონტი.**

## რუსეთიდან ჩამოსულთა საყურადღებოთ.

რუსეთის ქალაქებიდან ახლად ჩამოსულთ უმორჩილესად ვსთხოვთ ამბების გადმოსაცემად ჩვენს რედაქციაში შემოიარონ.

მათ ვსთხოვთ აგრეთვე, რომ რუსეთიდან წამოღებული გაზეთები ჩვენს რედაქციას გადმოსცენ, რისთვისაც დიდ მადლობას შევსწირავთ.

**რედაქცია.**

## კერძო თათბირი.

ქართველი სამღვდელოების ფიზიკური და ბუნებრივი ძალათა ამოძრავება ისე საჭირო არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს. მშობლიური ეკლესია განსაცდელშია და მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ქვეყანა ანარქიას ცეცხლშია გახვეული. სამშობლო ყველასაგან შეძლებ დახმარებას თხოულობს. ამ შემთხვევაში ქართველ სამღვდელოებას დიდი მოვალეობა აწევს კისერზე. ჩვენი გლეხობის ბურუსიდან გამოყვანა პირდაპირ მისი საქმეა. ამ მიზნით ქუთათელი მიტროპოლიტმა ანტონმა 30 ივლისს, საღამოს ჟამზე თავის ბინაზე მოუწოდა ქუთაისის სამღვდელოებას და მათთან სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე მამაშვილური ბაასი გამართა. მათმა მეუფებამ უპირველეს ყოვლისა წინადადება მისცა სამღვდელოებას, რომ ეს უკანასკნელი დახმარებოდა კანონიერ ფარგლებში თავის მოღვაწეობით.

შემდეგ ამისა მათი მეუფება გადავიდა ეკლესიურ საკითხებზე. პირველ რიგში დაისვა საეკლესიო გალობის მოწყობის საკითხი. ამ მწვავე საკითხმა ყველა დამსწრეთაგანი აალაპარაკა. ბოლოს კრება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით შესდგეს ეხლავე ქუთაისში მყოფი გალობის მცოდნე პირების კრება და მათ დაევალოს ტეხნიკური გზის გამოძებნა მგალობელთა გუნდის მომზადებისათვის და ამასთანავე თავის მხრით ადგილობრივმა საეკლესიო სამრევლო საბჭოებმაც იმეცადინონ, რომ მათდამი რწმუნებულ ეკლესიებში გალობის საქმე შესაფერისად იყოს დაყენებული.

კრება დაბოლოს შეეხო ძველისა და ახალი სტილის ხმარებას. უმრავლესობამ, რასაკვირველია, ძველ სტილს დაუჭირა მხარი. სასურველია ასეთი მამაშვილური აზრთა გაცვლა-გამოცვლა და თავყრილობა ხშირად ხდებოდეს ხოლმე.

**მ. ბუაჩიძე.**

რედაქტორი - სარედაქციო კოლეგია.


მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. |
| საფოსტო | — 3 | დღის | 8 — | 30 — |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 8 — | 10 — |

**ფოთ-ბათომიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 21 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 10 — | 18 — |

**ტყიბულიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 8 საათ. | და 15 წ. |

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო | — 24 | ღამის | 12 — | 40 — |
| საფოსტო | 4 | დილის | 8 — | 45 — |

**ფოთ-ბათუმისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 6 — | 40 — |

**ტყიბულისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 4 | დღის | 4 საათ. | — — |

## საშინაო სასადილო

ძროხის ერბოთი შემზადებული 2 ბლუდიდან 6 მანათი. 2 საათიდან 4 საათამდის. მისამართი: მესამე—3—ალექსანდროვის ქუჩა სახლი № 36 ბულურშვილის დუქნის ახლოს. 2—2.